



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

**დისციპლინური საქმე №122-18-2  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2018 წლის 02 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლო-ების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 03 ივლისის №1451/122-03 წერილით მოსამართლე --- -- ეცნობა მის მიმართ --- -- 2018 წლის 02 მაისის №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 03 ივლისის №1467/122-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 05 სექტემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სარჩელით მიმართა --- -- სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო ღირსეული, კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც სრულად შეესაბამებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების ანალიზს. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. --- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე, მომხსენებელი - --- --, მოსამართლეები - --- --, --- --) თავისი უფლებამოსილება განახორციელა არაჯეროვნად, იყო მიკერძოებული არასამართლიანი და ტენდენციური. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მის მიმართ დაირღვა ობიექტურობის, სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპები. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გააუქმა სარჩელის ხანდაზმულობის გამო.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2015 წლის 19 თებერვალს --- -- სარჩელით მიმართა --- -- სასამართლოს მოპასუხის, --- -- მიმართ და მოითხოვა, მოპასუხის კუთვნილი მაგისტრალური წყალსადენის დაზიანების გამო საცხოვრებელ სახლზე და მიწის ნაკვეთზე მიყენებული ზიანის, --- -- ლარის --- --თვის დაკისრება. საქმე

განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2017 წლის 11 იანვარს, რომლითაც -- -- არჩეული დაკმაყოფილდა სრულად.

2017 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება 2017 წლის 22 თებერვალს საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე -- --. -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილებით აპელანტის საჩივარი დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის 2017 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება -- -- გაასაჩივრა საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) -- საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კოლეგიური სასამართლო უფლებამოსილია საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“

იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძველად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 07 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

ამდენად, მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, კანონისა და მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 02 მაისის №-- საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვიტა:**

-- -- 2018 წლის 02 მაისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე ---  
-- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**